შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი

განათლების და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ამერიკისმცოდნეობის პროგრამა

მკვიდრ ამერიკელთა სოციალური და კულტურული გამოწვევების დინამიკა XVII-XXI საუკუნეებში ჩიროკის ეთნოსის მაგალითი

თეა ჭუმბურიძე

სადოქტორო დისერტაციის ავტორეფერატი ამერიკისმცოდნეობაში

თბილისი, 2016

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ვასილ კაჭარავა

პროფესორი, დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

(ხელმძღვანელის ხელმოწერა)

ექსპერტები (სახელი, გვარი & აკადემიური წოდება):

1. თამარ შიოშვილი, პროფესორი, დოქტორი
2. ირინა ბახტაძე, პროფესორი, დოქტორი

ოპონენტები (სახელი, გვარი & აკადემიური წოდება):

1. ქეთევან ხუციშვილი, ასოცირებული პროფესორი, დოქტორი
2. რუსუდან მიქაუტაძე ასოცირებული პროფესორი, დოქტორი
3. ბრუს მაკოტო არნოლდი, დოქტორი

შესავალი

მკვიდრი ამერიკელების ისტორია ძალზედ მიმზიდველი და საინტერესოა ფართო მკითხველისთვის. 1960 წლიდან, ბევრმა ისტორიკოსმა, ავტორმა და მეცნიერმა დაიწყო მკვიდრი ამერიკელების ისტორიის შესწავლა; დაიწერა ათასობით წიგნი და სტატია ჩრდილოეთ ამერიკის სხვადასხვა ინდიელთა ტომის შესახებ.

მიზეზი იმისა, თუ რატომ დაიწყო მკვიდრ ამერიკელთა ინტენსიური შესწავლა განსაკუთრებით 1960-იანი წლებიდან, დაკავშირებულია იმ გარემოებასთან, რომ სწორედ ამ პერიოდში აშშ-ში დაიწყო მოძრაობა სამოქალაქო უფლებებისთვის (1964 წელს პრეზიდენტმა ლინდონ ჯონსონმა ხელი მოაწერა ისტორიულ კანონს სამოქალაქო უფლებების შესახებ, რომლის მიხედვითაც კანონგარეშე გამოცხადდა დისკრიმინაცია რასის, კანის ფერის, რელიგიური მრწამსის, სქესის ან წარმომავლობის მიხედვით. ამ პერიოდმა მნიშვნელოვანი გარდატეხა მოახდინა ეთნიკური უმცირესობების უფლებების საკითხებთან მიმართებაში.

მეჩვიდმეტე საუკუნის დასაწყისიდან და მეოცე საუკუნის ადრეული პერიოდის ჩათვლით, ამერიკის შეერთებული შტატების თითქმის ყველა ტერიტორია გადაეცა არა ინდიელ მოსახლეობას. მნიშნელოვანია გაირკვეს თუ როგორ მოხდა ეს? გაიყიდა თუ არა ინდიელთა მიწები მათი სურვილისამებრ, თუ დაპყრობილი იქნა ახალმოსახლეების მიერ?

ამერიკის ისტორიაშიმკვიდრ ამერიკელთა იძულებითი გადასახლების პერიოდი იწყება 1820 წლიდან და გრძელდება 1840 წლამდე (ოფიცილაურად, ინდიელთა გადასახლების კანონი გატარდა 1830 წელს). ენდრიუ ჯექსონის პრეზიდენტობის პერიოდში მკვიდრ ამერიკელთა დიდი რაოდენობა იძულებული გახდა მისისიპის მდინარის დასავლეთ ნაწილში გადასახლებულიყო. 1828 წლიდან 1838 წლამდე ოთხმოციათასზე მეტი ინდიელი გადაადგილდა აღმოსავლეთიდან დასავლეთში (Banner, 2005).

1832 წელს, აშშ-ს ფედერალურმა მთავრობამ ჩირკოის ეთნოსის

წარმომადგენლებთან ერთად ხელი მოაწერა ხელშეკრულებას, რომლის თანახმად, შეერთებული შტატები შეიძენდა ინდიელი ტომების მთლიან ტერიტორას, იმდროინდელი ოკლაჰომას მიწების სანაცვლოდ. ჩიროკის ტომის მოგზაურობა ოკლაჰომაში, რომელიც ცნობილია როგორც „ცრემლების ბილიკი“ (Trail of Tears), ერთ ერთი ყველაზე დასამახსოვრებელია ამერიკის ისტორიაში.

მეცხრამეტე საუკუნის შუა ხანებში, აღმოსავლეთით მცხოვრებმა ინდიელებმა პრაქტიკულად ყველა ტერიტორია დაუთმეს ფედერალურ მთავრობას. ამ პერიოდში მიწების შესყიდვა საგრძნობლად დაჩქარდა; თუ 1820-იან წლებში მიწის ტრანზაქციები წელიწადში 1.7 პროცენტი იყო, 1830-იან წლებში რაოდენობამ 5.5 პროცენტს მიაღწია (Banner, 2005).

შექმინლმა ვითარებამ გამოწვია ინდიელთა რეზერვაციების ჩამოყალიბება - „თეთრკანიან მოსახლეობაში ინდიელთა ტერიტორიების კუნძული“ (Brown, 2005, p. 228). ბანერის მიხედვით, 1880 წლისთვის, დასავლეთში მიწების შეძენის სტრუქტურა მთლიანად გარდაიქმნა, პრაქტიკულად, ინდიელებს აღარ გააჩნდათ რეზერვაციის გარეთ არსებული მიწები (Banner, 2005).

თეთრკანიანი ახალმოსახლეების გამოჩენამდე, მკვიდრი ამერიკელების განათლების სისტემა მათი ტრადიციული წესების მიხედვით ფუნქციონირებდა; ისინი ადაპტირებული იყვნენ კონრეტულ გარემოს, შესაბამისად, ინდიელი ბავშვები კარგად ფლობდნენ ინფორმაციას საკუთარი წარმომავლობის, ცხროვრების წესის შესახებ, იცოდნენ, თუ როგორ უნდა შეენარჩუნებინათ თავიანთი კულტურა, ენა და წესები (Fletcher, 2008).

მკვიდრი ამერიკელები ცნობილნი იყვნენ ბუნებრივი რესურსებით, ნაყოფიერი მიწით, საკვებითა და მუშახელით, ახალმოსახლეებმა კარგად შეამჩნიეს ეს უპირატესობა და გადაწყვიტეს მთლიანად საკითარი მფლობელობის ქვეშ მოექციათ, ფლეტჩერის მიხედვით, „ევროპელები და ამერიკელები სარგებლობდნენ სხვადასხვა უპირატესობებით, მათ შორის, სამხედრო ტექნიკით, გარკვეული სახის დაავადებების დამარცხების საშუალებებით და ა.შ.“ (Fletcher, 2008, p. 1).

საბოლოოდ, ამერიკის მთავრობამ გადაწყიტა მკვიდრი ამერიკელების ასიმილაცია და არა განადგურება. გამომდინარე იქიდან, რომ მასობრივი განადგურება საკმაოდ ძვირადღირებული პროცესია, ეს გადაწყვეტილება ეკონომიკურ და ფინანსურ საკითხებთან იყო დაკავშირებული (Fletcher, 2008).

ამ პროგრამის უპირატესობა მდგომარეობდა შემდეგში: პირველ რიგში ეს იყო იაფი და არ გამოიწვევდა ქონების დაკარგვას; გარდა ამისა, ინდიელების ამერიკულ საზოგადოებაში ასიმილირებით, მათი კულტურა, ტრადიციები და ენები თანდათან გაქრებოდა. მეორე, მკვიდრი ამერიკელების მასობრივი განადგურებით, ნებისმიერი რელიგიისა თუ ფილოსოფიის არსებობის შენარჩუნება ძალიან რთული იქნებოდა.

მე-19-ე საუკუნეში აღმოცენდა სოციალურ აქტივისტთა ჯგუფები: „ინდიელების თანამეგობრობა“ და „ინდიელთა უფლებების ასოციაცია“, რომელთა მიზანს ინდიელების სოციალიზაცია, კულტურული ასიმილაცია წარმოადგენდა. მათი აზრით, ეს პროცესი აუცილებელი იყო ინდიელი ტომების არსებობის ხელშეწყობისთვის (Fletcher, 2008). აშშ-ს ფედერალურმა მთავრობამ ეს პროცესი მკვიდრი ამერიკელების განათლებით დაიწყო.

მთელი ისტორიის მანძილზე, ფედერალურ მთავრობასა და ამერიკელ ინდიელებს შორის გაფორმებული ხელშეკრულებები მოიცავდა საგანმანათლებლო დებულებებს. მთავრობის წარმომადგენლები აგზავნიდნენ ქრისტიან, პროტესტანტ და კათოლიკე მღვდლებს და მონაზვნებს, მკვიდრი ამერიკელებისთვის განათლების მიცემის მიზნით. ამ პოლიტიკის განხორციელებით, უფრო მარტივი იქნებოდა ინდიელების კულტურის, წესჩვეულებების, ტრადიციებისა და რელიგიის უგულებელყოფა.

ამერიკელ ინდიელთა განათლების სისტემა, რომელიც ადრეული ხელშეკრულებების დადებიდან 1970-იან წლებში ინტენსიურად ფუნქციონირებდა, შედგებოდა დახურული სასწავლო დაწესებულებებისგან, რომლებიც იქმნებოდა საერო და რელიგიური ორგანიზაციების მიერ. ინდიელი ბავშვების ამ სასწავლებლებში ცხოვრებისა და სწავლის გამოცდილება 1860 წლიდან იწყება, როდესაც ინდიელთა საქმეების ბიურომ დააარსა იაქიმას ინდიელთა რეზერვაცია

ვაშინგტონის შტატში. შეიძლება ითქვას, რომ მკვიდრი ამერიკელების დახურული სასწავლო დაწესებულებების სისტემა, წარმოადგენს ყველზე შეურაცხყმყოფელ მაგალითს მკვიდრი ამერიკელების თეთრკანიან ამერიკულ საზოგადოებაში ასიმილაციის მცდელობისა.

დღესდღეობით, ინდიელთა განათლების სისტემის ზოგიერთი კომპონენტი კვლავ შემორჩენილია ამერიკის შეერთებულ შტატებში, მაგალითად, არსებობს ჰასკელის ინდიელთა დახურული სასწავლებელი, რომელიც კანზას შტატში მდებარეობს; მიუხედავად იმისა, რომ დღესდღეობით ასეთი ტიპის სკოლები ინდიელების მიერ იმართება, მათ ჯერ კიდევ არ გააჩნიათ სრული უფლება და კონტორლი ამ საკითხებთან მიმართებაში და ეს კრიზისი გაგრძელდება მანამ, სანამ ისინი არ მოიპოვებენ სრულ პასუხისმგებლობას და უფლებამოსილებას.

არ შეგვიძლია ვუგულებელყოთ ამ ძირძველი ხალხის სოციალური კონსტრუქციის საკითხი. ჩიროკის საზოგადოების ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრინციპს ეგალიტარიანიზმი წარმოადგენდა; ამ პერსპექტივის მიხედვით, მათი საზოგადოების ყველა წევრი იყო თანასწორი და გამოკვეთილი იყო სამართლიანობის პრინციპი. საბოლოო ჯამში ეს მიდგომა მიზნად ისახავდა ყველა წევრის კეთილდღეობის შენარჩუნებას (Ojibwa, 2011).

ჩიროკის მატრილინეალურ საზოგადოებაში (Cherokee Matrilineal society), მათი ეთნოსის ყველა წევრი მუშაობდა გუნდურად, რათა უზრუნველყოთ თავიანთი საზოგადოების მთლიანობა, „თითოეულ წევრს გააჩნდა საკუთარი პასუხისმგებლობა და მოვალეობა, რასაც ასრულებდნენ თავიანთი საზოგადოების სტაბილიზაციისათვის“ (McGeever, 2015, p. 31). თუმცა, ეს მიდგომა თეთრკანიანი ახალმოსახლეების გამოჩენასთან ერთად შეიცვალა.

დღეისათვის, როგორც დისერტაციის ერთ-ერთმა რესპონდეტმა აღნიშნა, მკვიდრი ამერიკელები (მათ შორის ჩიროკის ეთნოსი) უფრო „ამერიკანიზებულები“ არიან ვიდრე ორმოცი წლის წინ იყვნენ.

დღეისათვის აშშ-ს მთავრობა ცდილობს დაამყაროს დადებითი კავშირი მკვიდრ ამერიკელ ერებს შორის და იღებს გარკვეულ პასუხისმგებლობას მათ მიმართ, რაც დაფუძნებულია სხვადასხვა ხელშეკრულებებზე, დებულებებზე, სასამართლო გადაწყვეტილებებსა და აღმასრულებელ ბრძანებებზე. თუმცა, ვერ გავექცევით ამერიკის ისტორიის მანძილზე არსებულ შემაშფოთებელ და დესტრუქციულ ფედერალურ ქმედებებს, რამაც ინდიელთა საზოგადოებების დაზარალება გამოიწვია.

მკვიდრი ამერიკელების ახალგაზრდა თაობა კვლავ დგას გამოწვევების წინაშე განათლების, სოციალურ-ეკონომიკური, ჯანმრთელობის და ა.შ. საკითხების მიმართ. აშშ-ს მთავრობას გააჩნია მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი, რათა დაუმჯობესდეს მკვიდრი ამერიკელების ახალგაზრდა თაობის ყოველდღიური ცხოვრება. ძირითადი ფაქტორები ამ მხრივ მდგომარეობს პარტნიორობისა და მდგრადი ჩართულობის გაძლიერებაში, რაც მკვიდრი ამერიკელების მომავალ თაობას საჭირო რესურსებითა და უკეთესი საცხოვრებელი პირობების შექმნით უზრუნველყოფს.

პრობლემის დასმა

კვლევის მიზანია მკვიდრ ამერიკელთა ისტორიული კოლონიზაციის გავლენისა და მათი კულტურული იდენტობის დაკარგვის გამოკვლევა ჩიროკის ეთნოსის მაგალითზე. კვლევა მიზნად ისახავს აშშ-ს ფედერალური მთავრობის მიერ მკვიდრ ამერიკელთა მიმართ არასათანადო მოპყრობის გრძელვადიანი შედეგების შესწავლასა და შეფასებას.

კერძოდ, კვლევა განიხილავს ჩიროკის ეთნოსის, როგორც განსაკუთრებული სოციალური ჯგუფის მნიშვნელობას, მის ადრეულ ურთიერთობებს ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობასთან, ბრძოლას სასამართლოში იძულებით გადაადგილების წინააღმდეგ და საბოლოო გადაადგილებას კუთვნილი ტერიტორიებიდან. კვლევა მიმოიხილავს ბარაკ ობამას ადმინისტრციის ამჟამინდელ პოლიტიკასა და დამოკიდებულებას მკვიდრ ამერიკელეთა საკითხებთან მიმართებაში.

კვლევის საკითხები

კვლევის შედეგად ჩამოყალიბებულია შემდეგი კვლევის საკითხები:

1. რაში გამოიხატება ჩიროკის ეთნოსის, როგორც განსაკუთრებული ეთნიკური ჯგუფისა და სუვერენული ერის მნიშვნელობა?
2. არის თუ არა ახლანდელი მკვიდრი ამერიკელების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა ისტორიული დისკრიმინაციის შედეგი?
3. რაში გამოიხატა ამერიკის ფედერალური მთავრობის პოლიტიკა მკვიდრი ამერიკელების მიმართ?
4. განიცდიან თუ არა მკვიდრი ამერიკელები (მათ შორის ჩიროკის ეთნიკური ჯგუფი) კონფლიქტს თავიანთი ტრადიციული ცხოვრების წესსა და თანამედროვე ამერიკული მოთხოვნების/პირობების ადაპტაციას/შეთავსებას შორის?

ჰიპოტეზა

ამერიკის შეერთებული შტატების ფედერალური მთავრობის პოლიტიკა მკვიდრი ამერიკელების ექსკლუზიური და დისკრიმინაციული რომ არ ყოფილიყო, მკვიდრი მოსახლეობის სუვერენული ერი განვითარდებოდა უფრო წარმატებულად და თავიდან აიცილებდა სოციალურ-ეკონომიკურ დეგრადაციას/დაღმავლობას.

სიახლე და აქტუალობა

სხვა უმცირესობათა ჯგუფებთან შედარებით, მკვიდრ ამერიკელთა საკითხები არ არის საფუძვლიანად გამოკვლეული/შესწავლილი საქართველოში. გამომდინარე იქიდან, რომ ეს ხალხები ამერიკის მიწაზე პირველები დასახლდნენ, ისინი ამერიკის კულტურის მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენენ და განსაკუთრებული ადგილი უკავიათ ამერიკის ისტორიაში.

საბჭოთა პერიოდში, აშშ-მკვიდრ ამერიკელთა საკითხები განიხილებოდა საკმაოდ ნეგატიურ კონტექსტში, რაც გარკვეულ პოლიტიკურ მიზეზებთან იყო დაკავშირებული. ცივი ომის პერიოდში ინდიელთა პრობლემა ერთ-ერთ მნიშნელოვან

საფუძველს წარმოადგენდა ამერიკის მთავრობის მიმართ მწვავე კრიტიკის თვალსაზრისით. საქართველოში, მკვიდრ ამერიკელთა პრობლემა არ შესწავლილა საბჭოთა პერიოდის შემდგომ. ამ თვალსაზრისით სამეცნიერო საკითხი ახალი და აქტუალურია.

2016 წელს მიხეილ ბარნოვმა (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი) დაიცვა დისერტაცია მკვიდრ ამერიკელთა აპაჩის ტომის ბელად ჯერონიმოზე. რაც შეეხება აშშ-შ მკვიდრ ამერიკელთა ერთ-ერთ ყველაზე დიდ ეთნიკურ ჯგუფს - ჩიროკი, მათი ისტორიული და თანამედროვე სოციალური და ეკონომიკური განვითარება არ გამოკვლეულა და შესწავლილა საქართველოს აკადემიურ სფეროში.

პრაქტიკული და თეორიული მნიშვნელობა

თეორიულ კონტექსტში წარმოდგენილი მკვიდრი ამერიკელების პრობლემები, 21-ე საუკუნის ადამიანის უსაფრთხოების საკითხების ფარგლებში განიხილება, ხოლო შეფასებები კეთდება მე-20-ე -21-ე საუკუნის ეთნიკური უმცირესობების უფლებების თეორიებზე დაყრდნობით.

რაც შეეხება კვლევის პრაქტიკული მნიშვნელობას, აღსანიშნავია რომ აშშ-ს სხვა უმცირესობათა ჯგუფებთან შედარებით (მაგ. აფრო-ამერიკელები), მკვიდრი ამერიკელების საკითხების დისკურსი უგულვებელყოფილია. მნიშვნელოვანია მკვიდრ ამერიკელთა საკითხების დისკურსის გააქტიურება საქართველოს მოქმედ აკადემიურ და საჯარო სფეროში, განსაკუთრებით კი ქვეყნის მასშტაბით არსებული ამერიკისმცოდნეობის სტუდენტებისათვის.

პრობლემა განიხილება საქართველოს (რომელიც გარკვეულწილად შედარებულია მკვიდრი ამერიკელების ერთან) კუთხით, როგორც საბჭოთა იმპერიის მმართველობაშო მყოფი ერი. მკვიდრი ამერიკელების მსგავსად, ქართველმა ერმა განიცადა იგივე პრობლემა საბჭოთა მმართველობის მხრიდან კულტურული ასიმილაციის მცდელობის თვალსაზრისით.

კვლევის მეთოდოლოგია და მეთოდი

კვლევის განხორციელებისათვის გამოყენებულია თვისებრივი კვლევის მეთოდოლოგია. რაც შეეხება კვლევის მეთოდს, გამოყენებულია როგორც ონლაინ, ისე ჩვეულებრივი სახის ინტერვიუები ღია და დახურული კითხვებით.

ეს არის ისტორიული კვლევა (ორიენტირებულია ისტორიულ დინამიკაზე) და შესაძლოა განიხილებოდეს, როგორც აღწერითი კვლევაც, ისტორიული გადაწყვეტილებების გამომწვევი მიზეზების შეუსაბამობასა და მათ შედეგებს შორის.

გარდა ამისა, კვლევა მიმოიხილავს და აანალიზებს სამეცნიერო რეფერირებულ ლიტერატურას მკვიდრი ამერიკელების ისტორიული კოლონიზაციის შესახებ. კვლევა შეისწავლის ჩიროკის ეთნიკურ ჯგუფს სოციოლოგიური და კულტურული პერსპექტივით (კულტურა, ღირებულებები, რელიგიური შეხედულებები, ენა, განათლება); განსაზღვრას ამ საზოგადოების ტიპს და ამერიკულ საზოგადოებაში მათი ინტეგრაციის დონეს.

კვლევის რესპონდენტები არიან ამ კონკრეტულ სფეროში მომუშავე პროფესიონალები და დისერტაციის რეალური სუბიექტები - მკვიდრი ამერიკელები, კერძოდ კი ჩიროკის ეთნოსის წევრები.

დისერტაციის საზღვრები

კვლევის მიზანია მკვიდრი ამერიკელების პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური განვითარების შესწავლა და აღწერა მე-17-ე საუკუნიდან 21-ე საუკუნის ჩათვლით, ჩიროკის ეთნოსის მაგალითზე დაყრდნობით.

კვლევის მიზანს არ წარმოადგენს მკვიდრი ამერიკელების წარმომავლობის შესწავლა ეთნოლოგიური პერსპექტივით.

დისერტაციის წყაროები

კვლევის თეორიული ნაწილი აგებულია შემდეგი წყაროებიდან: წიგნები, სამეცნიერო სტატიები, მედიასაშუალებები, მონოგრაფიები, სამთავრობო ანგარიშები.

პირველადი წყაროები ძირითადად მოპოვებულია: არქივები (სასამართლო გადაწყვეტილები განთავსებული უფასო ინტერნეტ ვებ-გვერდებზე), მიმოწერა და პირადი ინტერვიუები.

ძველი (ორიგინალი) წყაროები, რომელიც თარიღდება 1609-1839 წლებით მოპოვებული იქნა სხვადასხვა ფასიანი ინტერნეტ არქივებიდან.

გარდა ამერიკული წყაროებისა, გამოყენებულია გარე წყაროები, ქართველი მეცნიერების ნაშრომები (ასისტ. პროფ მიხეილ ბარნოვი, ინტერვიუ პროფესორ თამარ შიოშვილთან), რომლებიც ასახავს მკვიდრი ამერიკელების პრობლემებს სხვა პერსპექტივით.

დისერტაციის სტრუქტურა

დისერტაცია შედგება შემდეგი ნაწილებისგან: შესავალი, 3 თავი, დასკვნა, რეკომენდაციები და 3 დანართი. მოიცავს 5 ცხრილს და 15 ფიგურას.

თავი 1. ისტორიული მიმოხილვა თუ როგორ დაკარგეს მიწები მკვიდრმა ამერიკელებმა

ამერიკის შეერთებული შტატების ინდიელთა ტომების გადაადგილების ისტორია მოიცავს 1820-40-იან წლებს. ამ პერიოდში, ენდრიუ ჯექსონის პრეზიდენტობის დროს, რომელიც ერთ-ერთი ყველაზე დიდი მხარდამჭერი გახლდათ ინდიელთა გადასახლებისა, აღმოსავლეთით დარჩენილი ინდიელთა ტომების დიდი ნაწილი იძულებული გახდა მდინარე მისისიპის დასავლეთით გადასახლებულიყო. 1828 წლიდან 1838 წლის ჩათვლით, 8 ათასზე მეტი მკვიდრი ამერიკელი გადაადგილდა აღმოსავლეთიდან დასავლეთით (Banner, 2005).

ათწლეულების განმავლობაში, აშშ-ს ფედერალური მთავრობა აიძულებდა ინდიელებს თეთრკანიანი ანგლო-ამერიკელების წესჩვეულებებით ეცხოვრათ, მთავრობა მხარს უჭერდა ინდიელების დასახლებას მუდმივ საცხოვრებელ ქალაქებში, სკოლების და ეკლესიების აშენებას (ქრისტიანულ რჯულზე მოსაქცევად) და მათი თანამედროვე ცხვორების მოთხოვნებზე მორგებას. ჩიროკის ეთნიკური ჯგუფი იყო ერთ-ერთი პირველი, რომელმაც შეითვისა თანამედროვე მოთხოვნები და შეერწყა თანამედროვე ამერიკულ საზოგადოებას (Banner, 2005).

როგორც აღმოჩნდა, მკვიდრი ამერიკელები სასტიკად დამარცხდნენ ფედერალურ მთავრობასთან კონფლიქტში. აშშ-ს მთავრობის დაპირებები და შეთანხმებები მიწების დასაკუთრებასთან, დამოუკიდებლობასა და თავისუფლებასთან დაკავშირებით არ შესრულდა. ამერიკელი ინდიელების იძულებით გადაადგილებასთან ერთად, მათი თვითმყოფადობაც დაიკარგა (Josephy, 1989).

თავი 2. ჩიროკის საზოგადოების სოციალური და კულტურული მახასიათებლები და ცხოვრების წესი: ისტორიული პერსპექტივა (XVIII-XIX საუკუნეები)

ახალმოსახლეების გამოჩენამდე, ჩიროკის საზოგადოების ფუნდამენტს წარმოადგენდა მატრილინეალური ნათესაობითი გაერთიანება - კლანი, რომელშიც მემკვიდრეობა ქალის ხაზით გადაიცემოდა. ყველა ჩიროკი მიეკუთვნებოდა დედის კლანს. მის ნათესავებს კი წარმოადგენდნენ დედის ნათესავები.

მათი საზოგადოების უკეთესად აღწერისათვის კვლევაში გამოყენებულია მენეჯერული ბადის მოდელი (Managerial Grid Model), რომელიც შეიქმნა რობერტ ბლეიკისა და ჯეინ მოუტონის მიერ 1964 წელს. ეს მოდელი განსაზღვრავს ხუთ სხვადასხვა ლიდერობის როლს (როგორ ეხმარება ლიდერი გუნდს გარკვეული მიზნების მიღწევაში და რამდენად არის იგი ჩართული ორგანიზაციული მიზნების მიღწევის პროცესში) (Northouse, 2013).

ამ მოდელის გამოყენებით, ბლეიკმა და მოუტონმა განსაზღვრეს ხუთის სახის ლიდერობის როლი: კლუბური, გუნდური, შუა გზაზე მყოფი, გაღარიბებული, ავტორიტარული (country club, team management, middle of the road, impoverished and authoritarian). ჩიროკის საზოგადოების სტილის განსაზღვრისათვის ამ მოდელის გამოყენებით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ევროპელი ახალმოსახლეების ჩამოსვლამდე, ჩიროკის ხალხს ეკავა ამ მოდელის გუნდური მენეჯმენტის პოზიცია.

ეს სტილი კარგად აღწერს ჩიროკის მატრილინეალურ ნათესაობით კავშირს, სადაც ჯგუფის თითოეული წევრი მუშაობრ იმისათვის რომ უზრუვნელყორ საზოგადოების მთლიანობა და ფუნქციონირება (McGeever, 2015).

გუნდური მენეჯმენტის პრინციპის მიხედვით, ორგანიზაციაში მომუშავე ადამიანები ურთიერთნდობის და თანამშრომლობის საფუძველზე ცდილობენ გარკვეული მიზნებისა და ამოცანების შესრულებას (Northouse, 2013). თუმცა ახალმოსახლეების გამოჩენასთან ერთად ეს სისტემა თანდათან გაუჩინარდა.

ძალაუფლების მოდელი (Power Grid) 2-1



The Leadership Grid (Robert R. Blake, 1991).

საბოლოოდ, ბლეიკის და მოუტონის მენეჯერული მოდელის (1964) მიხედვით, ჩიროკიმ დაიკავა უფლებამოსილზე დამორჩილების/დამოკიდებულების (Authority-compliance) ადგილი, რომლის მიხედვით, აქცენტი კეთდება შედეგებზე და არა ხალხზე, არ ენიჭება მნიშვნელობა კომუნიკაციას და მოიცავს მაკონტროლებელ მენეჯერებს (Northouse, 2013).

თავი 3. აშშ-ს მთავრობის სოციალური და ეკონომიკური პოლიტიკა მკვიდრი ამერიკელების მიმართ: კოლონიზაციის პროცესის გამოწვევები და მისი ნეგატიური შედეგი

მესამე თავი ეხება აშშ-ს ფედერალური მთავრობის მიერ მკვიდრი ამერიკელების მიმართ დღესდღეობით შემუშვებულ და განხორციელებაში მყოფ პოლიტიკასა და რეფორმებს.

2014 წელს ბარაკ ობამას ადმინისტრაციის მიერ შემუშავებულ ანგარიშში მკაფიოდ არის ხასგასმული, რომ მკვიდრი ამერიკელების ახალგაზრდა თაობა კვლავ აწყდება ბარიერებს განათლების, სოციალურ-ეკონომიკური, ჯანდაცვის და ა.შ. თვალსაზრისით. ამ შემთხვევაში, აშშ-ს ფედერალურ მთავრობას გააჩნია მნივნელოვანი ინსტრუმენტი ახალგაზრდა მკვიდრი ამერიკელების ყოველდღიური ცხოვრების გაუმჯობესების საკითხში. ძირითადი ფაქტორები ეხება პარტნიორობისა და მდგრადი ჩართულობის გაძლიერებას, რაც ხელს შეუწყობს საჭირო რესურსების დაკმაყოფილებას და მკვიდრი ამერიკელების მომავალი თაობის ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებას.

კვლევის მეთოდოლოგია

კვლევაში გამოყენებულია ხარისხობრივი კვლევის მეთოდოლოგია. კვლევის მეთოდი მოიცავს ონლაინ და ჩვეულებრივი სახის ინტერვიუებს ღია და დახურული კითხვებით.

კვლევის მონაწიილები არიან ამ კონკრეტულ სფეროში მომუშავე პროფესიონალები და დისერტაციასს ფაქტობრივი სუბიექტები - მკვიდრი ამერიკელები, ჩიროკის ეთნოსის წარმომადგენლები.

2016 წლის 10 თებერვალს, თბილისში შევხვდი წარმოშობით ჩიროკ ჯუდი ინგლანდ ჯოსეფს. ქალბატონი ჯოსეფი გახლავთ დამხმარე პროფესორი ჯორჯ

მეისონის უნივერსიტეტში და მუშაობს ვირჯინიის შტატის საჯარო ადმინისტრაციის ეროვნულ აკადემიაში (აშშ). საქართველოში, საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტში (ჯიპა) ის ყოველწლიურად ატარებს სემინარებს ლიდერობის მენეჯმენტის და საჯარო ადმინისტრირების დარგში.

ქალბატონ ჯოსეფთან შეხვედრის (ინტერვიუს) დროს, ჩვენ განვიხილეთ ბევრი საკითხი მკვიდრი ამერიკელების, კერძოდ კი ჩიროკის ეთნოსის შესახებ. იგი შეეხო გარკვეულ სოციალურ საკითხებს/პრობლემებს, როგორებიცაა, მაგალითად ალკოჰოლიზმი. მისი თქმით, ეს პრობლემა გამოწვეულია ოჯახური ძალადობით, თუმცა ჯერ კიდევ არ არის ზუსტი (საკმარისი) მონაცემები, იმის გასარკვევად თუ რა ფაქტორები მოქმედებს ალკოჰოლიზმის გამწვავებაში. თუმცა, აღმოჩნდა რომ სიკვიდილიანობის ათი ძირითადი მიზეზიდან, ოთხი დაკავშირებულია ალკოჰოლიზმისგან გამოწვეულ პრობლემებთან: უბედური შემთხვევები, თვითმკვლელობა, მკვლელობა. გარდა ამისა, ალკოჰოლიზმი აზარტული თამაშების ინტესიობის მიზეზიც შეიძლება იყოს.

კითხვაზე, რა დადებითი ან/და უარყოფითი მხარეები გააჩნია აზარტული თამაშების ბიზნესში ჩართულობას, ქალბატონმა ჯოსეფმა აქცენტი გააკეთა აზარტული თამაშების დაწესებულებების მხარეზე, რომელთა მფლობელები აცხადებენ, რომ სამორინეები უზრუნველყოფენ მკვიდრი მოსახლეობის უკეთეს ეკონომიკურ, პოლიტიკურ და სოციალურ ცხოვრებას, მაშინ როდესაც მეორე მხარე აცხადებს რომ ასეთი ტიპის ბიზნესი იწვევს დანაშაულსა და კორუფციას.

სათამაშო ბიზნესს მოაქვს მილიარდობით დოლარის შემოსავალი ყოველწლიურად, რაც თავის მხრივ ქმნის სამუშაოს მკვიდრი ამერიკელებისათვის; თუმცა, მეორე მხრივ ეს ბიზნესი იწვევს დამოკიდებულებას, როგორც მთავრობაზე, ისე ზოგადად სათამაშო ბიზნესზე. სათამაშო ბიზნესზე დამოკიდებულება იცვლება ალკოჰოლზე დამოკიდებულებით, ხოლო სიღარიბე იცვლება მატერიალიზმით.

ჯუდი ჯოსეფმა გამოთქვა პირადი აზრი და აღნიშნა, რომ სათამაშო ბიზნესის ინიციატორების მიერ შემუშავებული სტრატეგია პრობლემატურია. მკვიდრი

ამერიკელებისთვის ასეთი სახის დასაქმების (სათამაშო ბიზნესი) ნაცვლად, უფრო მნიშვნელოვანია მათი უზრუნველყოფა სპეციალური განათლებით, რაც მათი პროფესიული/კარიერული განვითარების საწინდარი იქნება. მთავრობის წარმომადგენლებს კარგად უნდა ესმოდეთ რეალურად რაში მდგომარეობს პრობლემა. სხვა უმცირესობათა ჯგუფებთან შედარებით (მაგ: აფრო-ამერიკელები), ამერიკელი ინდიელები ნაკლებად არიან ჩართული აშშ-ს კულტურულ, პოლიტიკურ, თუ სოციალურ ცხოვრებაში. ამის მიზეზი, როგორც ქალბატონმა ჯუდიმ ახსენა, უკავშირდება წარსულს, იმ პოლიტიკას, რომელიც მათ წინააღმდეგ განხორციელდა, რამაც შედეგად მათი ტერიტორიების დაკარგვა გამოიწვია; ამ ყველაფრის გამო ისინი შეურაცხყოფილად გრძნობენ თავს.

შეხვედრის დროს განვიხილეთ მიმდინარე-აქტუალური საკითხები და შევეხეთ ინდიელების „ამერიკანიზაციის“ საკითხს. როგორც მან აღნიშნა, მკვიდრი ამერიკელების ახალგაზრდა თაობა უფრო „ამერიკანიზებულია“, ვიდრე ის იყო ორმოცი წლის წინ. ეს ნათლად ჩანს მათ კულტურულ, სოციალურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში.

ქალბატონ ჯოსეფთან ასეთი ნაყოფიერი შეხვედრის შემდეგ დავიწყე მუშაობა ჩიროკის ეთნოსის წარმომადგენლებთან ონლაინ ინტერვიუებზე.

ინტერვიუ ჩატარდა ჩიროკის ეთნოსის შემდეგ წევრებთან: ასისტ. პროფ. დოქტ. ბენჟამინ ფრეი (ჩაპელ ჰილის ჩრდილოეთ კაროლინას უნივერსიტეტი, ამერიკისმცოდნეობის დეპარტამენტი); შაუნ ვრაითი (მენეჯერი ჩრდილოეთ კაროლინას Amano Pioneer Eclipse-ის კომპანიაში); რიჩარდ როუზი (უმაღლესი განათლების პროგრამების ხელმძღვანელი, New York State Education Department, Schenectady County Community College); სკოტ ვილიამსონი (ინფორმაციული ტექნოლოგიების სპეციალისტი, ტულსა, ოკლაჰომა); ვინნ ვესტმორლენდი, (CNN-ის სარედაქციო საბჭო, ჟურნალისტი, ატლანტა); სტარლა ბილიე, პროფესორი Pawnee-ს ეროვნულ კოლეჯში, (ტულსა, ოკლაჰომა); ჩარლს გოურდი, დამხმარე პროფესორი ჩრდილო-აღმოსავლეთის ტექნოლოგიურ ცენტრში (პარკ ჰილი, ოკლაჰომა); რობერტ

ლარჯენტი, გარემოს დაცვის საკითხების სპეციალისტი, (ტეხასი), ქელი ვივერი, American Checked-ის ბიზნეს განვითარების ვიცე-პრეზიდენტი (ტულსა, ოკლაჰომა).

კითხვაზე, „რომელი განსაზღვრება არის სწორი/სასურველი - „მკვიდრი ამერიკელი“, „მკვიდრი“ თუ „ამერიკელი ინდიელი“? რესპონდენტთა 80%-მა განაცხადა რომ ეს არის „მკვიდრი ამერიკელი“, ხოლო 20%-მა აღნიშნა „მკვიდრი“.

კითხვაზე - „როგორ განსაზღვრავთ თქვენს იდენტობას, როგორც ეთნიკური ჯგუფი - „ტომი“ თუ „ერი“? ინტერვიუერების 70%-მა განაცხადა რომ ეს არის „ერი“, ხოლო 30%-მა აღნიშნა „ტომი“.

„ისტორიული თვალსაზრისით მიგაჩნიათ თუ არა, რომ მკვიდრი ამერიკელები არიან დისკრიმინაციის მსხვერპლნი“? ყველა რესპონდეტმა (100%) აღიარა რომ ეს არ არის დასამტკიცებელი და ეს არის ისტორიული ფაქტი.

შეგეხოთ თუ არა პირადად სეგრეგირებული სასწავლებლების პოლიტიკა? როგორ შეაფასებთ ასეთი ტიპის სკოლებს? პოზიტიურად/ნეგატიურად”. - არცერთ რესპონდენტს არ ჰქონია სეგრეგირებულ სასწავლებლებში ცხოვრებისა და სწავლის გამოცდილება და ყველა მათგანმა ნეგატიური დამოკიდებულება გამოხატა ამ პოლიტიკის მიმართ. მათ გაიხსენეს მშობლების, წინაპრების მტკივნეული გამოცდილება. „სეგრეგირებული სასწავლებლების მიზანი იყო მკვიდრ ამერიკელთა კულტურების დაკნინება და საბოლოო განადგურება“ (დოქტ. ბენჟამინ ფრეი). „ეს არის ბნელი თავი ჩვენს ისტორიაში“ (რიჩარდ როუზი).

„არის თუ არა ახლანდელი მკვიდრი ამერიკელების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა ისტორიული დისკრიმინაციის შედეგი?“ - გამოკითხულთა 100%-მა განაცხადა, რომ ეს პოლიტიკა დაკავშირებულია მათ წარსულთან და ისინი კიდევ ერთხელ შეეხნენ სეგრეგირებული სასწავლებლების საკითხს.

კითხვაზე, „როგორ შეაფასებთ აშშ-ს მთავრობის პოლიტიკას (სოციალური კეთილდღეობის პროგრამა) მკვიდრი ამერიკელების მიმართ? რამდენად პოზიტიური თუ ნეგატიური დამოკიდებულება აქვს ამ პოლიტიკას მკვიდრი ამერიკელების

სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე? - ყველა რესპონდენტი ხასგასმით შეეხო სიტყვას „სოციალური კეთილდღეობა“ (welfare) და მის ნეგატიურ კორელაციას (ურთიერთკავშირს). მათი თქმით სიტყვა „სოციალური კეთილდღეობა“ (welfare) ‘ამერიკული ლექსიკიდან’ მოდის, რაც გულისხმობს ზარმაც პიროვნებას, რომელსაც არ აქვს მუშაობის სურვილი და მთავრობის ხარჯზე სურს ცხოვრება, რაც აბსოლუტურად არ მიესადაგება ჩიროკის ტომის ცხოვრების წესს.

მოვიპოვე ინფორმაცია მკვიდრ ამერიკელთა საზოგადოებებში აზარტული თამაშების ბიზნესის შესახებ. რესპონდენტთა პასუხები დაემთხვა ჩემს მიერ მოძიებულ მასალებს ამ საკითხთან დაკავშირებით. კითხვაზე „რა უპირატესობა და/ან ნაკლი გააჩნია სათამაშო ბიზნესში ჩართულობას მკვიდრი ამერიკელებისთვის?“ - გამოკითხულთა 100%-მა ხაზი გაუსვა ფინანსურ მხარეს, ტომის ინფრასტრუქტურას, რაც სათამაშო ბიზნესის უპირატესობად ითვლება, ხოლო უარყოფით მხარედ კორუფციის პრობლემას შეეხნენ.

კითხვაზე, „როგორ არის განაწილებული გენდერული როლები ჩიროკის ეთნოსის წარმომადგენელ მამაკაცსა და ქალს შორის? ვინ იკავებს მოწინავე პოზიციას? როგორია მათი სოციალური წყობა, მატრიარქალური თუ პატრიარქალური?“ - რესპონდენტთა 100%-მა განაცხადა, რომ აშშ-ს მოდელიდან გამომდინარე, წყობა არის უფრო პატრიარქალური, ვიდრე მატრიარქალური.

„განიცდით თუ არა კონფლიქტს საკუთარი მშობლიური ცხოვრების წესსა და თანამედროვე მოთხოვნების/პირობების ადაპტაციას შორის?“ - ყველა რესპონდენტმა განაცხადა, რომ ისინი არ აწყდებიან ბარიერებს ამ საკითხთან დაკავშირებით. დღესდღეობით მკვიდრი ამერიკელები ჩვეულებრივ ახორციელებენ თავიანთ წეს-ჩვეულებებს, ტრადიციებს, საუბრობენ საკუთარ ენაზე; თუმცა გარემო პირობები შეიცვალა, როგორც ეს იცვლებოდა ყველა ისტორიულ პერიოდში მკვიდრი ამერიკელების ევროპელებთან კონტაქტის შემდგომ და კიდევ უფრო ადრე.

ჩიროკის ეთნოსის წარმომადგენლებთან ინტერვიუების დასრულების შემდგომ, დავეკონტაქტე იმ მკვიდრ ამერიკელთა საკითხების მცოდნე ქართველ პროფესორებს, რომლებიც ეწვივნენ აშშ-ს რეზერვაციებს.

პროფესორი, დოქტორი თამარ შიოშვილი, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის განათლების და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი და ამერიკისმცოდნეობის საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების კოორდინატორი 2005 წელს ეწვია ნიუ-მექსიკოს შტატის სანტო-დომინგოს რეზერვაციას. ინტერვიუში მან ისაუბრა ინდიელთა რეზერვაციებში ვიზიტის პროცედურებზე, მკვიდრ ამერიკელთა ახლანდელ სოციალურ, ეკონომიკურ და კულტურულ მდგომარეობაზე, აშშ-ს ფედერალური მთავრობის მიერ განხორციელებულ სოციალური უზრუნველყოფის პოლისებზე.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასისტენტ პროფესორი, დოქტორი მიხეილ ბარნოვი, რომელიც ეწვია ნიუ-მექსიკოს აპაჩების რეზერვაციას და 2016 წელს დაიცვა დისერტაცია მკვიდრ ამერიკელთა თემაზე. აპაჩის ტომის მაგალითზე, მიხეილ ბარნოვმა ისაუბრა მკვიდრ ამერიკელთა სოციალურ-ეკონომიკურ ვითარებაზე.

საერთო ჯამში, ეს არის დასასრული ინტერვიუებისა, რომლებიც ჩატარდა სადისერტაციო თემის ფაქტობრივ წარმომადგენლებთან - მკვიდრ ამერიკელებთან და ამ საკითხების მცოდნე ქართველ პროფესორებთან.

დასკვნა და რეკომენდაციები

ევროპელი ახალმოსახლეების გავლენა სხვადასხვაგვარად აისახა ჩიროკის ეთნოსის ყოველდღიურ ყოფაზე. ზოგიერთმა მათგანმა აითვისა ‚ცივილიზაციის' პროგრამა და დომინანტ საზოგადოებაში კულტურული ასიმილაცია განიცადა; ზოგიერთი კი კვლავ ცდილობდა ტრადიციული წეს-ჩვეულებების დაცვასა და შენარჩუნებას. საბოლოოდ, ჩიროკის ტომი ორ კულტურას შეერია, ძველი მიდგომებითა და ხედვით ახალ ტექნოლოგიებთან და რელიგიებთან (ადაპტირება) შესაბამისობა მოახდინა (Perdue, 1998).

ძალაუფლება, რომელსაც ჩიროკი მამაკაცები და ქალები ერთდროს ფლობდნენ, დროთა განმავლობაში გაუჩინარდა. მამაკაცისა და ქალის როლი რადიკალურად შეიცვალა. ევროპელების ჩამოსახლებასთან და ქრისტიანი მისიოენერების გავლენასთან ერთად, ჩიროკის ტომმა მრავალი ცვლილება განიცადა. ინდუსტრიულ და მოდერნიზებულ საზოგადოებაში მათთვის რთული აღმოჩნდა უარი ეთქვათ ახალ მიღწევებზე და შეენარჩუნებინათ საკუთარი ტრადიციები.

მკვიდრი ამერიკელების, კერძოდ კი ჩიროკის ეთნიკური ჯგუფის დღევანდელი საცხოვრებელი პირობების განხილვისას, აღსანიშნავია რომ ეს ხალხი აშშ-ს ყველაზე დაავადებულ უმცირესობათა ჯგუფს მიეკუთვნება. დიაბეტი, კიბო, გულ-სისხლძარღვთა პრობლემები, ფილტვების დაავადება და ა.შ., ეს ის დაავადებებია, რომლებსაც ყველაზე ხშირად განიცდიად ჩიროკის წარმომადგენლები (Johansen, 2000).

სააგენტოებმა, როგორიცაა, ინდიელთა საკითხების ბიურო და ინდიელთა ჯან-დაცვის სამსახური, როგორც ეროვნულ, ისე ადგილობრივ დონეზე შეიმუშავეს მრავალი პროგრამა, იმისათვის რომ გაუმკლავდნენ ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ პრობლემებს. ზოგიერთი პროგრამა საკმაოდ ეფექტური აღმოჩნდა, თუმცა დიაბეტის ზრდის ტემპების, კიბოსა და ალკოჰოლიზმის მაღალი მაჩვენებელი კვლავ შესამჩნევია მკვიდრ ამერიკელთა ტომებში.

ანთროპოლოგები ყველა ამ პრობლემას ამერიკის წარსულს და კოლონიალიზმის შედეგს უკავშირებენ; მკვიდრი ამერიკელების პირველი კონტაქტი ევროპელებთან

უფრო ინტენსიური გახდა 1800-იან წლებში სოციალურ-ეკონომიკური ასიმილაციის თვალსაზრისით. ანთროპოლოგების აზრით, ეს არის წარსულში განცდილი ტრავმა; სეგრეგირებული სასწავლებლების პოლიტიკა იყო შეურაცხმყოფელი, ინდიელი ბავშვები იყვნენ დეპრესირებულნი და ემოციურად დაავადებულნი.

კვლევის ფარგლებში გავლებულია პარალელი საქართველოს მაგალითსა და მე-19-ე საუკუნეში მკვიდრი ამერიკელების მიმართ გატარებულ დისკრიმინაციულ პოლიტიკას შორის. 1801 წელს ქართლის და კახეთის სამეფოების ანექსიისა (რუსეთის იმპერიის მიერ) და სრულიად საქართველოს დაპყრობის შემდგომ, ქართული სკოლები და კულტურული დაწესებულებები იძულებითი ასიმილაციის სუბიექტი გახდნენ. ზემოთხსენებული პოლიტიკის მიზანს საქართველოს ეთნო-კულტურული და ეთნო-ისტორიული ტრადიციების ნგრევა და ქართველი ერის სწრაფი ასიმილაცია წარმოადგენდა.

ჩვენ დავინახეთ, თუ როგორ შეიზღუდა და შესუსტდა ქვეყნის განვითარება ამ პოლიტიკის შედეგად. ეს მტკიცებულება ნათელი გახდა მას შემდეგ, რაც საქართველომ მოიპოვა დამოუკიდებლობა (1991), თავისი ბუნებრივი განვითარების გზები და დაამყარა ურთიერთობები მსოფლიოში.

2014 წლის ივნისში, აშშ-ს პრეზიდენტი ბარაკ ობამა, ქალბატონ ობამასთან ერთად ეწვია Standing Rock-ის რეზერვაციას, სადაც შეხვდა მკვიდრი ამერიკელების ახალგაზრდა თაობას; მათ გაუზიარეს პრეზიდენტს ის პრობლემები და ბარიერები, რომლებსაც ისინი დღესდღეობით აწყდებიან. ვიზიტის შემდეგ. პრეზიდენტმა ობამამ გამოხატა მზადყოფნა ახალი პრგრამების შემუშავების თვალსაზრისით, რათა გაუმჯობესდეს ამ მოზარდების ყოველდღიური ყოფა (President, 2014).

2014 წელს გამოქვეყნებულ ანგარიშში ყურადღება ექცევა, იმ რთული პრობლემების და გამოწვევების აღმოფხვრას, რასაც დღევანდელი ახალგაზრდა ინდიელები აწყდებიან; აქცენტი კეთდება განათლებაზე, ეკონომიკურ განვითარებასა და ჯანდაცვაზე. აგრეთვე, აღნიშნულია, რომ ახალგაზრდა მკვიდრი ამერიკელები არიან სრულუფლებიანი აშშ-ს მოქალაქეები და სწორედ მათ უნდა განსაზღვრონ

თავიანთი ქვეყნის მომავალი, შეინარჩუნ საკუთარი ტრადიციები და კულტურა (President, 2014).

შეიძლება ითქვას, ტომ ჰიპოტეზა დამტკიცდა ხარისხობრივი და რაოდენობრივი მონაცემების ანალიზით. დადგინდა, რომ ხანგრძლივმა კოლონიზაციამ გამოიწვია ინდიელთა მიწების მასიური კარგვა, გენოციდი, ეპიდემია, რასიზმი და ეკოციდი, რამაც დღევანდელი მკვიდრი ამერიკელების მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა გამოიწვია.

მეცხრამეტე საუკუნეში, არამკვიდრი ამერიკელები იყენებდნენ ეთნოცენტრულ შეხედულებებს და სტერეოტიპებს მკვდრი ამერიკელების იძულებით გადასახლებასთან დაკავშირებით; ეს პოლიტიკა მიზნად ისახავდა მათი უფლებების შეზღუდვას რეზერვაციებში, ენისა და კულტურის განადგურებას სეგრეგირებული სასწავლებლების საშუალებით და სხვა ტერიტორიებზე მათ გადაადგილებას.

ჰიპოტეზა დამტკიცდა რაოდენობრივი მონაცემების ანალიზის საფუძველზეც.

2011 და 2013 წელს დაავადებათა კონტროლის და სუიციდის პრევენციის ცენტრის მიერ გამოქვეყნებული ანგარიშების მიხედვით, მკვიდრ ამერიკელებს აქვთ ყველაზე დიდი სუიციდის მაჩვენებელი სხვა აშშ-ს ჯგუფებთან შედარებით (ფიგურა 3-2 და ფიგურა 3-3). დაავადებათა კონტროლის 2016 წლის მონაცემების მიხედვით, 18-24 წლის ასაკის ახალგაზრდა მკვიდრ ამერიკელებს ყველაზე მაღალი სუიციდის მაჩვენებელი აქვთ სხვა ჯგუფებთან შედარებით (ფიგურა 3-7 და ფიგურა 3-8).

გარდა ამისა, მათ გაცილებით დაბალი განათლების დონე აქვთ თანატოლებთან შედარებით (ფიგურა 3-11). 2010-2012 წლის ამერიკის საზოგადოებრივის კვლევის ცენტრის მიხედვით 25 წლის ამერიკელ ინდიელებს და ალასკის მკვიდრ მოსახლეობას არ დაუმთავრებიათ საშუალო სკოლა და მხოლოდ 13 პროცენტს აქვს ბაკალავის ხარისხი, მაშინ როდესაც აშშ-ს მოსახლეობის (25 ან მეტი ასაკის მქონე პირებს) 29 პროცენტი აქვს ბაკალავრის ხარისხი ან უფრო მეტი (Bureau, 2016). გარდა ამისა, მკვიდრ ამერიკელებს უფრო მაღალი უმუშევრობის მაჩვენებელი აქვთ, ვიდრე თეთრებს (ცხრილი 3-2).

ახალგაზრდა მკვიდრი ამერიკელების წინაშე მდგარი მრავალი გამოწვევისა და ბარიერის მიუხედავად, ინდიელი ტომები და საზოგადოებები კვლავ იმედოვნებენ და ამტკიცებენ, რომ აღნიშნული პრობლემების გადაჭრა შესაძლებელია ორიენტირებული, დაგეგმილი და სტრატეგიული ძალისხმევით. რეკომენდაციები მდგომარეობს შემდეგში: ინდიელთა ტომების განათლების კონტროლის გაძლიერება, სრულყოფილი, სტუდენტზე ორიენტირებული პროგრამების შემუშავება, მკვიდრი კულტურებისა და ენების სკოლებსა და საკლასო გარემოში ინტეგრირება, ძალისხმევა სუიციდის მაჩვენებლის შესამცირებლად, ჯანდაცვის სისტემის გაუმჯობესება.

საჭირო ინვესტიციების მოზიდვისა და რეფორმების გატარების გარეშე, ეს ახალგაზრდები კიდევ უფრო მწვავე პრობლემების წინაშე დადგებიან სამომავლოდ. აუცილებელია მკვიდრი ამერიკელების ახალგაზრდა თაობის (მათ შორის ჩიროკის ეთნოსის წარმომადგენლები) ჩართვა სხვადასხვა კულტურულ ღონისძიებებსა და ტრადიციებში. ფედერალურ, სახელმწიფო და ინდიელი ტომების მთავრობების, აგრეთვე კერძო და არაკომერციული ინსტიტუტების როლი და პასუხისმგებლობა ამ საკითხებთან მიმართებაში ძალზედ მნიშვნელოვანია, რადგან სწორედ მათ გააჩნიათ სჭირო რესურსი და შესაძლებლობა პროგრესის მისაღწევად.

ისტორიული კვლევის ფარგლებში დადგინდა, რომ მკვიდრ ამერიკელთა პოლიტიკური, კულტურული და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ანალიზმა შეიძინა საკმაოდ კრიტიკული მიდგომა აშშ-ს 200 წლიანი განვითარების მანძილზე, რაც გამოიხატება მკვიდრი ამერიკელების მიმართ თანდათან ცვალებად სტერეოტიპებსა და დამოკიდებულებაში.

ეს კრიტიკა გახდა უფრო მნიშვნელოვანი, მწვავე და ობიექტური. განხორციელდა საფუძვლიანი ანალიზი კომპლექსური და გლობალური პერსპექტივების გათვალისწინებით. გარდა ამისა, დღესდღეობით, ამერიკის მოსახლეობის უმრავლესობა აღიარებს, რომ მკვიდრი ამერიკელები მართლაც განიცდიდნენ დისრკიმინაციას აშშ-ს ფედერალური მთავრობის მხრიდან.

მიუხედევად იმისა, რომ ოფიციალურად, ამერიკის მთავრობა აღიარებს იმ გამოწვევებსა და დაბრკოლებებს, რასაც მკვიდრი ამერიკელები განიცდიდნენ, 2014 წლამდე (ბარაკ ობამას პრეზიდენტობის პერიოდში) კონკრეტული სამოქმედო გეგმა ამ საკითხთან დაკავშირებით არ შემუშავებულა.

2014 წლის ვიზიტის შემდეგ მომზადდა ნიადაგი მკვიდრი ამერიკელების მიმართ ახალი სამოქმედო პოლიტიკის წამოსაწყებად, რაც მიზნად ისახავს ღრმა ცვლილებებს მათი სოციალური და ეკონომიკური განვითარებისათვის.

სადისერტაციო ნაშრომის სიახლეების განხილვისას უნდა აღინიშნოს, რომ 2014 წელს ბარაკ ობამას მიერ შემუშავებული პოლიტიკა და პროგრამები წინა პლანზე წევს მე-20-ე-21-ე საუკუნის საერთაშორისო ორგანიზაციების გადაწყვეტილებებს/კონვენციებს ეთნიკური უმცირესობების უფლებებზე.

მაგალითად, 1992 წელს, გაეროს გენერალურმა ასამბლეამ მიიღო დეკლარაცია ეთნიკური, რელიგიური, ეროვნული და ენობრივი უმცირესობების შესახებ, რაც მდგომარეობს შემდეგში:

- იმ პირებს, რომლებიც წარმოადგენენ უმცირესობას რომელიმე სახელმწიფოში, არ უნდა შეეზღუდოთ მათი განსაკუთრებული უფლებები;
- სახელმწიფოები ვალდებული არიან უზრუნველყონ ის პირები, რომლებიც უმცირესობათა ჯგუფს მიეკუთვნებიან, რათა ისარგებლონ ფუნდამენტური ადამიანური უფლებებით ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე;
- სახელმწიფოები ვალდებულებას იღებენ, ხელი შეუწყონ და დაიცვან იმ პირთა უფლებები, რომლებიც ეთნიკურ უმცირესობებს მიეკუთვნებიან;
- არ უნდა განხორციელდეს დისკრიმინაცია რასის, კანის ფერის, ეროვნული ან ეთნიკური წარმომავლობის მიხედვით (Nations, 2016).

ზემოთაღნიშნული ეთნიკური უმცირესობების უფლებების კორელაციის თვალსაზრისით, ობამას ადმინისტრაციის მიერ შემუშავებული გრძელვადიანი პროგრამები მხარს უჭერს ეროვნული უმცირესობების უფლებებს, მათ თავისუფლებას და ინდივიდის სოციალურ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ განვითარებას.

შეიძლება ვივარაუდოთ, რომ როდესაც ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის პოლიტიკა მკვიდრი ამერიკელების მიმართ შეიცვლება, მკვიდრ ამერიკელთა საზოგადოებები გახდება უფრო ორგანიზებული, ისინი იპოვიან ბუნებრივის განვითარების გზებს და უკეთესად შეუთავსებენ ტრადიციული ცხოვრების წესს თანამედრო ამერკულ მოთხოვნებს. საბოლოოდ, მკვიდრი ამერიკელები მიაღწევენ სულიერ ძლიერებას და დაიბრუნებენ დაკარგულ თვითმყოფადობას.

პუბლიკაციების სია:

1. Chumburidze, T. (2016). Westernization of the Cherokee Marriage Traditions and Distribution of Gender Roles. *Journal in Humanities*, 5(1), pp. 15-19.

2. Chumburidze, T. (2015). Educational Challenges Faced by the Native Americans: The Case of the Cherokee Nation. *Journal in Humanities*, 4(2), pp. 19-23.

3. Chumburidze, T. (2014). Theories about Turkic vs. European Roots of Native Americans. *Journal in Humanities*, 3(1), pp. 23-25.

4. Chumburidze, T. (2014). Engaging a New Generation of Native Americans in a Cultural and Social Change. *American Studies Periodical*, (6), pp. 80-85.

5. Chumburidze, T. (2014). The Problem of Native Americans: Integration or Assimilation? *International Conference in American Studies*, (7), pp. 301-307.

6. Chumburidze, T. (2013). Racism against Native Americans: A Look at the Bottom. *American Studies Periodical*, (6), pp. 158-165.